




# საქართველოს



 **დაარსებულია 1918 წელს.**   
საშხაბათი, 1 მაისი, 2007 წელი  
№82 (5683)

# რეისკუხლიკა



**არჩილ ასათიანი**

საქართველოს სამოქალაქო და სამედიცინო საზოგადოებამ სერიოზული დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა **არჩილ ასათიანი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

არჩილ ასათიანი დაიბადა 1933 წელს, ქალაქ თბილისში დედაწამოსილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის ოჯახში.

არჩილ ასათიანის მთელი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებული იყო სამედიცინო ინსტიტუტთან და ფიზიოლოგიასთან. 1957 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების, მისი წარმატებით დასრულების, საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდგომ მისი ინტელექტუალური, ადამიანური და მოქალაქეობრივი ძალისხმევა დაკავშირებული იყო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად სამედიცინო უნივერსიტეტის) ფიზიოლოგიის კათედრაზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობასთან. ამ სფეროს იგი ემსახურებოდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხურზე – როგორც ასისტენტი, დოცენტი, და ბოლოს, 1987-დან 2004 წლამდე – კათედრის გამგე.

ამავე დროს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, პროფ. ა.ასათიანი 1975-1985 წწ. იყო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1985-1991 წლებში ამავე ინსტიტუტის რექტორი. ეს პერიოდი, უდაოდ, სერიოზული და მნიშვნელოვანი ფურცელია საკუთრივ ინსტიტუტის და პირადად ბატონი არჩილის ცხოვრებაში, აღნიშნული პროდუქტიული სამეცნიერო-კვლევითი, ორგანიზაციული და აკადემიური საქმიანობით საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით.

წლების განმავლობაში იგი იყო სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი და მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერების ატესტაციის პროცესში; ბოლო დღემდე ბატონი არჩილი კოლეგებსა და მოსწავლეებს უზიარებდა აკადემიური, სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილებას, იყო რა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ბატონი არჩილ ასათიანი ქართული ფიზიოლოგიის სკოლის ამაგდარის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ალექსანდრე ბაკურაძის ღირსეული მოსწავლე იყო. მათი სამეცნიერო ინტერესის ძირითადი სფერო საჭმლის მომწელებელი სისტემის მოქმედების რეგულაციის მექანიზმების შესწავლა იყო, რაც საფუძვლად დაედო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის კვლევით მუშაობას. ამ მუშაობის შედეგად, ქართულ ფიზიოლოგიას შეემატა ბატონი არჩილის ხელმძღვანელობით მისი მოსწავლეების მიერ შესრულებული ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პროფ. ა.ასათიანის სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთი ეტაპის შემაჯამებელი ფურცელია პროფ. ა.ბაკურაძესთან თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფია „კვებითი მოქმედების ნეიროჰუმორული მექანიზმები“, რომელიც არის და კიდევ დიდხანს იქნება სამაგიდო წიგნი ორგანიზმის კვებითი მოქმედების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის. პროფ. ა.ასათიანი არის ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომლებშიც მთელი სისრულითაა ასახული მისი კვლევითი ინტერესების ფართო დიაპაზონი.

სრულიად განსაკუთრებული იყო პროფ. არჩილ ასათიანის პედაგოგიური საქმიანობა, მისი ურთიერთობა ახალგაზრდა კოლეგებთან და სტუდენტებთან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი თითოეული ლექცია იყო აკადემიზმის, ორატორობის, იმპროვიზების სრულიად ორიგინალური ნაზავი, რომელიც წარუშლელ და განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელებზე. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დანატოვარია რამდენიმე სახელმძღვანელო ბიოფიზიკაში და პირველი ფუნდამენტური ქართული სახელმძღვანელო ადამიანის ფიზიოლოგიაში, გამოცემული მისი რედაქტორობით 2006 წელს.

ბატონი არჩილ ასათიანის საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი აქტივობის ერთმნიშვნელოვანი დასტურია ის, რომ იგი არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად 1999-2004 წლებში. საპარლამენტო მოღვაწეობისას იგი აქტიურად მონაწილეობდა სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროების საკანონმდებლო ბაზის შექმნაში.

პროფ. ა.ასათიანი არის ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი არჩილი წარმომადგენელია ჭეშმარიტი ქართული ინტელიგენტური ოჯახისა, ისეთი ოჯახისა, რომელიც ქმნის ქართული მეცნიერული გენის ისტორიას. იგი იყო გამგრძელებელი აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის და მისი წინაპრების თვალსაჩინო მოღვაწეობისა, ხოლო ბატონი არჩილის შვილებმა და შვილიშვილებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ამ დიდი ოჯახის ღირსეული წევრები არიან.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;  
საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება*